

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს საარჩევნო კოდექსში” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2001 წელი, №25, მუხ. 107) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფება.“.

2. მე-9 მუხლის:

ა) მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა, მათ შორის, იმ პირთა შესახებ მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, აგრეთვე გარდაცვლილთა, წინასწარ პატიმრობაში და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირთა შესახებ მონაცემების საფუძველზე“;

ბ) 11¹ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11¹. იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების (პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან განთავისუფლების ცნობა) წარდგენის შემთხვევაში წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით. ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ. უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ამომრჩეველს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ამომრჩეველი არჩევნებში

მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართავს კენჭისყრის დღეს, მას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაუროთავს დოკუმენტების ფოტოასლებს.”.

3. მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობა სიას ადგენს შესაბამისი წინასწარი პატიმრობის დაწესებულების დირექტორი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.”.

4. 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი და ამომრჩევლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქშია, ამომრჩეველს ეძლევა პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემებით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და მასზე გაიცემა შესაბამისი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩეველს ეძლევა მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. კენჭისყრის პროცედურას ატარებს საუბნო საარჩევნო კომისია, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს ის სამხედრო ნაწილი, საავადმყოფო ან სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება ან წინასწარი პატიმრობის დაწესებულება, რომელშიც იმყოფება ამომრჩეველი.”.

მუხლი 2. ეს ორგანული კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი